პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 16 (9792) | ოთხშაბათი, 20 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმის მომზადებისა და მოწყობის მთავრობის კომიტეტში (1-ლი გვერდი).
თბილისის 24-ე საქალაქო პარტიული კონფერენცია (მე-2 გვერდი).
ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი ქ. კუიბიშევში (მე-2 გვერდი).
მზადება ლენინის დღეებისათვის (მე-2 გვერდი).
კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე **მ. თ. შკირიატოვი** (მე-3 გვერდი).
ლენინის დღეები უცხოეთში (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ახალგაზრდა მშრომელების პირველი ნაბიჯები (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე. — კხმერის ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიის ერთგული, მებრძოლი თანაშემწე

დღეს იხსნება საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XX ყრილობა. ყრილობა მუშაობას იწყებს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული საყოველთაოსახალხო ბრძოლის ვითარებაში, მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის დღეებში, როცა სულ უფრო ფართოდ იშლება მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ბრძოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის კომკავშირული მუშაობის ქვაკუთხედია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ ამ ბრძოლას, არ რაზმავენ კომკავშირელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ყრილობის წინ ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე დელეგატები მწვავედ, პირუთვნელად აკრიტიკებდნენ კომკავშირული მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს და შეცდომებს. გამოირკვა, რომ ზოგან რაიონული და საქალაქო კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ებრძვიან პირველადი ორგანიზაციების განსამტკიცებლად. ამის გამო მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ეწყობა კომკავშირული კრებები, უყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, ძალიან ცოტა კეთდება ახალგაზრდობის საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმისათვის. კასპის რაიონის სოფელ ჩაჩუბეთის კოლმეურნეობა წლითიწლობით ჩამორჩება. მაგრამ აქაური კომკავშირელები პასუხისმგებლობას არ გრძნობენ კოლმეურნეობის ჩამორჩენისათვის. აღსანიშნავია, რომ კომკავშირულ კრებაზე აქამდე არ განხილულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება. კოლმეურნეობაში ცუდად არის გაშლილი მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. ცალკეული კომკავშირელები არისტოკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ კოლმეურნეობისადმი და თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ჩაჩუბეთის კოლმეურნეობაში და არა მარტო კასპის რაიონში.

საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო მუშაობას არ ეწევიან კადრების გულდასმით შერჩევისა და პოლიტიკური აღზრდისათვის. კომკავშირის კომიტეტები ნაკლებ დახმარებას უწევენ პირველადი ორგანიზაციების მდივნებს, რომლებიც კომკავშირული აქტივის მრავალრიცხოვან რაზმს შეადგენენ. მათთვის იშვიათად აწყობენ სემინარებსა და თათბირებს კომკავშირული მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კომკავშირულ ორგანოებს მჭიდრო, ყოველდღიური, ცოცხალი კავშირი არა აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ამ ბოლო დროს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე განიხილა ქობულეთის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. უკანასკნელად მიღებული დადგენილება ითვალისწინებდა პრაქტიკული დახმარების გასაწევად ადგილზე ცენტრალური კომიტეტის მუშაკების მივლინებას. მას შემდეგ სამ თვეზე მეტმა განვლო, მაგრამ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან ქობულეთის რაიონში დასახმარებლად არავინ ჩასულა.

კომკავშირელები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა გატაცებით სწავლობენ კომუნისტური პარტიის ისტორიასა და თეორიას. მაგრამ ამ მხრივ ნაკლიც ბევრია. კომკავშირის კომიტეტები, პირველადი ორგანიზაციები ყოველდღიურად, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებას.

სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს კომკავშირული მუშაობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებანია კომკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის საქმიანობაში. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მოსწავლეთა და სტუდენტთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლებისათვის. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენების შედეგად ახალგაზრდობის ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავს არიდებს რაიონში სამუშაოდ წასვლას. ყოველდღიური ბრძოლა ასეთი არისტოკრატიული განწყობილების წინააღმდეგ, ახალგაზრდობის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდა კომკავშირის უპირველესი მოვალეობაა.

საქართველოს კომკავშირს ბევრი და სერიოზული მუშაობა მართებს მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში მას ყოველდღიურ, ქმედითს დახმარებასა და ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელ მუშაობაში.

კომკავშირი დიდი ძალაა, რომელსაც სახელოვანი საქმეების შესრულება შეუძლია. იგი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ერთგული მებრძოლი თანაშემწეა. საქართველოს კომკავშირის XX ყრილობა ხელს შეუწყობს არსებულ ნაკლოვანებათა ულმობლად მხილებას, მომავლისათვის საჭიროო ღონისძიებათა გამომუშავებას, მთელი კომკავშირული მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანას.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია, თავისი დედის — მშობლიური კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული შვილი, შემდგომ გააძლიერებს კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის მონაწილეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36 და 37 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **შვერნიკი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **შელეპინი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი **გრომოვი** ევგენი ივანეს-ძე — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ნესმეიანოვი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა და მეცნიერ თანამშრომელთაგან,

მიხაილოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — მოსკოვის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

გრიშკო გრიგოლ ელისეს-ძე — კიევის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

კოზლოვი ვასილ ივანეს-ძე — ბელორუსიის სსრ ხალხმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან,

სურკოვი ალექსი ალექსანდრეს-ძე — სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირისაგან,

ჟოლტოვი ალექსი სერგის-ძე — საბჭოთა კავშირის არმიის ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისაგან,

მოსკატოვი პეტრე გიორგის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან,

კოზლოვი ფროლ რომანის-ძე — ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

ზუევა ტატიანა მიხეილის ასული — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან,

ბაევი სტეფანე სერგის-ძე — სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთაგან,

ევეცი მიხეილ იურის-ძე — კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთაგან,

იულდაშევა აიმახონ — უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის კოკანდის რაიონის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

კორგასბაევი საიდახმეტი — ყაზახეთის სსრ ალმა-ატის ოლქის კეგენის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

ციცეშვილი თამარ იოსების ასული — საქართველოს სსრ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან,

აბასოვი ყურბან აბაზ ყული ოღლი — აზერბაიჯანის სსრ „გურგანი ნავთობის“ ტრესტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

რატკუტე მარიამ იუოზის ასული — ლიტვის სსრ ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივისაგან,

კისელეოვა ელისაბედ დიმიტრის ასული — მოლდავეთის სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან,

აბზალონ-საქსე ანა ოტოს ასული — ლატვიის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირისაგან,

ათაბეკოვა ოლმასხან — ყირგიზეთის სსრ ჯალალ-აბადის ოლქის ბაზარ-კურგანის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

ბაბაევა ხოსიათ ყასიმის ასული — ტაჯიკეთის სსრ ლენინაბადის ქალთა სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივისაგან,

ეგიაზაროვი ივანე ვასილის-ძე — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა და მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივისაგან,

ათაევი რეჯებყული — თურქმენეთის სსრ ტაშაუზის ოლქის ილიალის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ წევრებისაგან,

ილისონი ლეონჰარდ-ფრიდრიხ ადის-ძე — ესტონეთის სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან,

იუპიევი პეტრე სტეფანეს-ძე — კარელია-ფინეთის სსრ პრიაჟინსკის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 19 იანვარი.

სომხეთის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

ერევანი, 16 იანვარი. (საკდესი). სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა 1954 წლის 14 თებერვალს მოწვეულ იქნას სომხეთის კომუნისტური პარტიის მორიგი XVII ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია: სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება; სომხეთის კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება; სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ახალი საოლქო ცენტრი

ბელგოროდი. (საკდესი). ბელგოროდს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. მაგრამ როგორც სამრეწველო და კულტურული ცენტრი იგი სწრაფად გაიზარდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მოკლე ხანში აქ განვითარდა საშენი მასალების მრეწველობა.

განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ქალაქი ომისშემდგომ წლებში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკები და ქარხნები.

ომამდე არსებული აგურის, ცარცისა და კირის ქარხნები გადაიქცა მძლავრ საწარმოებად. რამდენჯერმე გადიდდა პროდუქციის გამოშვება კონსერვის კომბინატში, სადაც მექანიზებული და ავტომატიზებულია ყველა საწარმოო პროცესი. გაჩნდა სხვა საწარმოები, რომლებიც ამზადებენ სასურსათო საქონელსა და ფართო მოხმარების საქონელს.

სამრეწველო მშენებლობა გრძელდება. შენდება წიდაბლოკის ქარხანა. მიმდინარეობს მზადება საშენი დეტალებისა სილიკატური აგურის ქარხნების კორპუსების ასაშენებლად.

ქალაქში, რომელიც მთლიანად დაანგრიეს ფაშისტმა დამპყრობლებმა, ახლა თითქმის აღარ დარჩა ომის კვალი. ნანგრევების ადგილას აგებულია სადგურის მონუმენტური შენობა, აშენებულია ათობით მრავალსართულიანი სახლი. საცხოვრებელი ფართობის ფონდმა უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. დაიწყო ახალი კინოთეატრის, მუსიკალური სკოლის, მთელი რიგი მაღაზიების მშენებლობა.

ბელგოროდი ჩრდილოეთ დონეცის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ზაფხულში მისი ქუჩები მწვანით არის შემოსილი.

ბელგოროდის გარდაქმნა ახალ საოლქო ცენტრად ფართო პერსპექტივებს სახავს მისი შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

გამოვიდა „უკრაინის სსრ ისტორია“

კიევი, 17 იანვარი. (საკდესი). უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა „უკრაინის სსრ ისტორიის“ პირველი ტომი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის უკრაინის ისტორიის ინსტიტუტმა.

„უკრაინის სსრ ისტორიის“ პირველი ტომი გამოცემულია უკრაინულ და რუსულ ენებზე. უკრაინული და რუსული გამოცემის საერთო ტირაჟია 225 ათასი ცალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს თევზის მრეწველობის მუშების, ბრიგადიერების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 13 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

ორდენი „შრომითი წითელი დროშის“

1. **ძემა** პეტრე სიმონის-ძე — თბილისის თევზის ქარხნის ბრიგადირი.
2. **ფაჩუაშვილი** ნესტორ რომანის-ძე — ბათუმის თევზის ქარხნის დირექტორის მოადგილე.
3. **შჩერბინა** სერაფიმ პეტრეს-ძე — გაგრის თევზის ქარხნის ბრიგადირი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **გალუსტოვი** არსენ გალუსტის-ძე — თბილისის თევზის ქარხნის ბრიგადირი.
2. **გოგიშვილი** გრიგოლ კარპეზის-ძე — თბილისის თევზის ქარხნის დირექტორი.
3. **ფრანჩუკი** ნიკიტა ისაკის-ძე — გაგრის თევზის ქარხნის მექანიკოსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **კვარაცხელია** ვლადიმერ სოსლანის-ძე — გაგრის თევზის ქარხნის დირექტორი.
2. **საბლინი** დიმიტრი იაკობის-ძე — თბილისის თევზის ქარხნის მებაღური.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 18 იანვარი.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმის მომზადებისა და მოწყობის მთავრობის კომიტეტში

კიევი, 16 იანვარი. (საკდესი). მთავრობის კომიტეტმა განიხილა და დამტკიცა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმის მომზადებისა და მოწყობის გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს, რომ რესპუბლიკაში განხორციელდეს მთელი რიგი მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი მშრომელთა შორის.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით 1954 წლის მაისში საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში მოეწყობა საზეიმო კრებები.

მაისში, საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს, ქალაქ კიევში გაიმართება სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ყველა დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში და სპეციალურ სასწავლებლებში გაიმართება საზეიმო საღამოები, საზეიმო დილები, ხოლო მაისში ყველა რაიონსა და ქალაქში მოეწყობა ნორჩ პიონერთა შეკრებები.

უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები მოაწყობენ სამეცნიერო სესიებსა და საიუბილეო კრებებს მიძღვნილს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გათვალისწინებულია მოეწყოს მასობრივი სახალხო სეირნობანი, სპორტული შეჯიბრებანი, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლები.

ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან, დაიდგმება მემორიალური დაფები.

გეგმით გათვალისწინებულია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქების პერეიასლავ-ხმელნიცკისა და ჩიგირინის კეთილმოწყობისათვის.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ სამკერდე ნიშნებს მოსახლეობისათვის მისაყიდად.

მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

აგიტპუნქტები მუშაობას შეუდგნენ

თბილისის მოლოტოვის რაიონის ქარხნებში, ფაბრიკებში, სკოლებში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში აგიტატორები მართავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ საუბრებს. სამრეწველო საწარმოთა კოლეტივები ვალდებულებას კისრულობენ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდებიან.

პარტიის მოლოტოვის რაიკომმა მოიწვია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელსაც 150 კაცი ესწრებოდა. თათბირის მონაწილეებს მიეცათ ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ მოსახლეობაში და საწარმო-დაწესებულებებში პოლიტიკური აგიტაცია. პარტორგანიზაციების მდივნებს დაევალათ განამტკიცონ აგიტატორთა კადრები, ამომრჩეველთა შორის სამუშაოდ შეარჩიონ პოლიტიკურად მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები. რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ უკვე შეარჩია და დააკომპლექტა აგიტპუნქტების გამგეები, რომელთა შორის არიან ლიტონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ა. მსხილაძე, 23-ე საშუალო სკოლის პარტბიუროს მდივანი ნ. წერეთელი, ინჟინერი ი. გრძელიშვილი, სახელმწიფო გამომცემლობის პარტბიუროს მდივანი ვ. პატარაია და სხვები. სულ რაიონში 46 აგიტპუნქტია შექმნილი. აგიტპუნქტები უკვე შეუდგნენ მუშაობას ამომრჩეველთა შორის.

რაიკომის ბიბლიოთეკაში შედგა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა მორიგი სემინარი. მეცადინეობის თემა იყო: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება და აგიტატორთა ამოცანები“. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეიმუშავა არჩევნებისადმი მიძღვნილი ლექციებისა და მოხსენებების გეგმა.

პირველი დღეები

თელავი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშნის შესახებ ბრძანებულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პარტიის თელავის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის მონაწილეებს მიეცათ რჩევა, თუ როგორ უნდა მოაწყონ საagიტაციო-მასობრივი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. კონდოლის, ვანთისა და ქვემო ხოდაშნის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა ს. გალახვარიძემ, რ. შიუკაშვილმა და ა. გომურაშვილმა ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში დღემდე 900 აგიტატორი მუშაობდა. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დამატებით 300 აგიტატორი გამოყვეს. აგიტატორებმა პირველი საუბრები სსრ კავშირის კონსტიტუციას მიუძღვნეს. ამჟამად ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას ასწავლიან მუშებს, კოლმეურნეებს, დიასახლისებს.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ ოცზე მეტი აგიტატორი აწყობს საუბრებს. აგიტატორებმა თამარ კოშაძემ და მარიამ ჭარელაშვილმა არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე სამსამი საუბარი მოაწყეს.

რაიონის მოსახლეობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება დღითიდღე ძლიერდება.

აგიტაცია ახალი ძალით გაჩაღდა

სამტრედია. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა. კოლმეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზის კვანძის საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს აგიტკოლექტივების პირველი მეცადინეობა, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებისადმი.

აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე გამოირკვა, რომ საწარმოში გამოყოფილი 28 აგიტატორი საagიტაციო მუშაობით მთელ კოლექტივს ვერ მოიცავდა. ეს გაითვალისწინა პარტბიუროს და პოლიტიკურად ყველაზე მომზადებული კომუნისტთა რიცხვიდან დამატებით გამოჰყო აგიტატორები. მუშათა სიერთო საცხოვრებლებში, დამხარისხებელ, საკონტროლო და ძაფსახვევ საამქროებში აგიტატორებმა ლ. ხუჭუამ, ნ. ყუფარაძემ, ზ. ქავთარაძემ, ლ. ფოფხაძემ, ნ. კუნიცამ და სხვებმა მოაწყეს საუბრები თემაზე — „საბჭოთა საარჩევნო სისტემა“. აქ აღრიცხეს ახალგაზრდა ამომრჩეველები, რომლებიც მომავალ არჩევნებში პირველად მიიღებენ მონაწილეობას, მათთვის შექმნილია არჩევნების დებულების შემსწავლელი წრე.

დღეს საღამოს 7 საათზე ქ. თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში (მთავრობის სახლი) გაიხსნება

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობა

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) და საღამოს 5 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 18 იანვარს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი **მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი.**

გარდაცვალება ამხანაგ მათე თევდორეს-ძე **შკირიატოვისა**, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ჩვენი პარტიის სამსახურს, მშრომელთა საქმისათვის ბრძოლას, მძიმე დანაკლისია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის ამხანაგ **მათე თევდორეს-ძე შკირიატოვის** გარდაცვალებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

შეიქმნას მ. თ. შკირიატოვის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია ამხ. მ. ა. სუსლოვის (თავმჯდომარე), ნ. მ. პეგოვის, ნ. ა. მიხაილოვისა და პ. ტ. კომაროვის შემადგენლობით.

თბილისის 24-ე საქალაქო პარტიული კონფერენცია

შეიდგა თბილისის XXIV საქალაქო პარტიული კონფერენცია. თავის მოხსენებაში კონფერენციაზე დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია მოვიდა ორგანიზაციულად და იდეურად კიდევ უფრო განმტკიცებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლის გამოცდილებით შეიარაღებული.

კონფერენციაზე საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ნ. სტურუამ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ხარისხობრივად გაიზარდა. აწყობდნენ რა თავიანთი მუშაობის გარდაქმნას პარტიის XIX ყრილობის დირექტივების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებებისა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადწყვეტილებათა საფუძველზე, თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე. გაიზარდა კომუნისტების აქტივობა, მათი ავანგარდული როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პროგრამა დედაქალაქის მრეწველობამ 105 პროცენტით შეასრულა. სამრეწველო საწარმოთა გაფართოება უმთავრესად სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ხარჯზე მიმდინარეობდა.

მოწინავე საწარმოთა რიგებში, რომელთაც კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლები მოიპოვეს, არიან მაუდ-კამვოლის, ფეხსაცმლის მეორე და მესამე, მეექვსე სამკერვალო, თამბაქოს მეორე, მაკაორნის ფაბრიკები და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

მაგრამ ქალაქში ჩამორჩენილი საწარმოებიც არიან. 136 სამრეწველო საწარმოდან რვამ ვერ უზრუნველყო საწარმო გეგმის შესრულება და ქვეყანას 31 მილიონ მანეთზე მეტის პროდუქცია დააკლო.

ქალაქის ზოგიერთი სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი სუსტად ეწევა ბრძოლას გეგმის ასორტიმენტის მიხედვით შესრულებისათვის, არ ზრუნავს იმისათვის, რომ საბჭოთა მომხმარებელს მისცეს საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ნაწარმი. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გეგმით გათვალისწინებული ქსოვილის 24 სახეობიდან დავალება შესრულებულია მხოლოდ 14 სახეობაში.

ნელა სწორდება ნაკლოვანებანი სარეწაო კოოპერაციის მუშაობაში, რომელმაც ვერ უზრუნველყო პროდუქციის გამოშვების გეგმის ასორტიმენტისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულება. ნაწარმის 25 ძირითადი სახეობიდან გეგმა შესრულებული არ არის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების 16 სახეობაში.

ქალაქში მიმდინარეობს ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს გამოუშვებენ. მაგრამ ამ მშენებლობებზე სუსტად იბრძვიან მუშაობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის, ნაკლებია ზრუნვა მშენებელ მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კამათში გამოსულმა პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან რაიონის პარტიული ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად. სათავეში ჩაუდგნენ რა მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და წარმოებაში დანერგვას, პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს გარდატეხას რაიონში მეცხოველეობის მექანიზებული ფერმების შექმნისა და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

კონფერენციის დელეგატებმა ილაპარაკეს იმ დახმარებაზე, რომელსაც უწევენ თბილისის საწარმოები კოლმეურნეობებს და მტს-ებს ინვენტარის რემონტის, სამეურნეო ნაგებობათა, სანერგეებისა და სათბურების მშენებლობის საქმეში. ამასთან ერთად, მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ეს დახმარება კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ქალაქში ცოტა საწარმო როდია, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან სოფელს.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა მოსახლეობის კომუნალური მომსახურეობის საკითხებს. მომხსენებელი და კამათში გამოსულები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ქალაქის კეთილმოწყობის ძირითადი საკითხები არადამაკმაყოფილებლად წყდება. პარტია და მთავრობა უდიდეს სახსრებს ხარჯავენ საბინაო მშენებლობისა და საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად. მაგრამ ამ სახსრებს მთლიანად ვერ იყენებენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯაფარიძეშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 1953 წელს კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან მნიშვნელოვანი თანხები არ არის ათვისებული. ცუდად მუშაობენ ტრესტები საქმშენი, თბილისმშენი და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები. საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების წარისხი დაბალია. პარტიის საქალაქო კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს მშენებლობათა პარტიულ ორგანიზაციებს, ხოლო ეს უკანასკნელნი არ ეწევიან ბრძოლას სამშენებლო მექანიზმების უკეთესად გამოყენებისათვის, არ აწყობენ მშენებელ მუშათა შეჯიბრებას, არ ეწევიან მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

ამხ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ 1954 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობა, აგრეთვე კეთილმოწყობის სამუშაოები მნიშვნელოვნად გაიზრდება. უახლოეს ორ წელიწადში ქალაქის ყველა რაიონში აიგება ახალი აბანოები. სახსრების გამოყოფა საბინაო მშენებლობისათვის ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება. შენდება ექვსი ახალი სასკოლო შენობა. იწყება დიდი უნივერსალური მაღაზიის მშენებლობა, რომელიც 25 მილიონი მანეთი დაჯდება. ყველა ეს და ბევრი სხვა სამუშაოები პარტიული ორგანიზაციების მხრივ საქალაქო მეურნეობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების მოითხოვენ.

პარტიის რაიკომის მდივნებმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა (ლენინის რაიონი) და ამხ. ს. ჩხარტიშვილმა (26 კომისრის რაიონი) თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს, რომ სერიოზულად ჩამორჩება რაიონების კეთილმოწყობა. განათების, ტელეფონისა და რადიოქსელის მოწყობის, სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხებს საჭირო ყურადღება არ ექცევა.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის საბჭოს აღმასკომი საჭირო მზრუნველობას არ იჩენს წყალსადენის ქსელის წესიერი ექსპლოატაციისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

კონფერენციაზე მწვავედ იქნა გაკრიტიკებული ქალაქის კომუნალური მომსახურების მდგომარეობა. როგორც აღინიშნა, ქალაქში არ არის არც ერთი სამრეცხაო მოსახლეობისათვის. ცუდად მუშაობენ სასტუმროები, აბანოები. არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ მდგომარეობაშია ბევრი ეზო და ქუჩა. პარტიის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის საბჭოს აღმასკომი კომუნალური მომსახურების საკითხებს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

პარტიის კალინინის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ კალინინის რაიონში 100-ზე მეტი საბჭოთა დაწესებულებაა. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და რაიკომი საჭირო ყურადღებას არ უთმობდნენ ამ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, არადამაკმაყოფილებლად იბრძოდნენ საბჭოთა აპარატის შეწყობილი მუშაობისათვის. ამხ. ჩოფიკაშვილმა მოიყვანა მაგალითები რესპუბლიკის პროკურატურისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის პრაქტიკიდან, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ დაწესებულებებში არის საქმის გაჭიანურებისა და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები.

თბილისში საქონლმბრუნვის 1953 წლის გეგმა 102 პროცენტით შესრულდა. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოსახლეობას ათობით მილიონი მანეთის საქონელი დააკლო. განსაკუთრებით ჩამორჩებიან საქტანსაცმელი, საფეხსაცმელ-ვაჭრობა, მარჯანეულ ნაპირის თბილკვებვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ტრესტები. სავაჭრო ქსელის ზრდა ჩამორჩება რაიონების, განსაკუთრებით კი განაპირა რაიონების ეკონომიურ განვითარებას. კეთილმოეწყობელია საკოლმეურნეო ბაზრები. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევის საქმე. სავაჭრო საწარმოების პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობდნენ, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტი მათ სათანადო დახმარებას ვერ უწევდა.

კონფერენციის მუშაობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი შინაპარტიული ცხოვრების საკითხებს.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობდა რა პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაუმჯობესა შინაპარტიული მუშაობა. მან მიაღწია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. გაიზარდა პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და პარტიული კრებების როლი პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში. მაგრამ შინაპარტიულ მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის არსებითი ნაკლოვანებანი. საქალაქო კომიტეტის პლენუმებს ყოველთვიურად არ იწვევდნენ.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებები ჯერ კიდევ დაბალ იდეურ დონეზე იმართება. კონფერენციაზე მოყვანილ იქნა მაგალითი რკინიგზის ნაეთლულის კვანძის კონდუქტორთა რეზერვის პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკიდან, სადაც 7 თვეში 27 პარტიული კრება მოიწვიეს. თუ რამდენად ფორმალურად და უპასუხისმგებლოდ იმართებოდა ეს პარტიული კრებები, მოწმობს ის, რომ 20 კრებაზე განხილული საკითხების გამო არავითარი გადაწყვეტილება არ უფიქსირა მიღებული. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში კრებებზე ადამიანთა ვიწრო წრე გამოდის, რომლებიც „შტატის“ მომხსენებლებად არიან გადაქცეული. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, რის შედეგად კანდიდატთა შემადგენლობის თითქმის ნახევარი სტაჟგადაცილებულია.

კრიტიკა და თვითკრიტიკა თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ნაკლოვანებათა მხილებისა და აღმოფხვრის მთავარ მეთოდად. თბილისის კომიტემა, რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს შეექმნათ საჭირო პირობები კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის. დიდი ნაკლოვანებანი იყო ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში, განსაკუთრებით ჩამორჩება აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პარტიის თბილისის კომიტეტის განყოფილებები არ ეხმარებოდნენ მუშაობაში კომკავშირის თბილისის კომიტეტის შესაბამის განყოფილებებს. პარტიული ბიბლიოთეკები სუსტ დახმარებას უწევენ კომკავშირულ პროპაგანდისტებს.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, გამოასწორეს რა წარსულში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, უფრო ორგანიზებულად დაიწყეს მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. სწავლების ყველა ფორმაში ჩაბმულია 50 ათასზე მეტი კაცი. მაგრამ ბევრი პოლიტსკოლისა და წრის მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის დოგმატიზმისა და მედავითნეობის ელემენტები. სერიოზული ნაკლოვანებანი არის რაიკომებთან არსებულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარების მუშაობაში. რაიკომების პირველმა მდივნებმა თავი მიანებეს ამ სემინარების ხელმძღვანელობას. არასაკმარი კონტროლის შედეგად ცალკეულ პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა დაბალ იდეურ დონეზე, ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით იმართება.

იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს პოლიტიკური აგიტაცია. საწარმოებში, დაწესებულებებში, ქალაქის მშენებლობებზე და მოსახლეობაში 15 ათასზე მეტი აგიტატორი ეწევა საგიტაციო მუშაობას. ამ დარგშიც სერიოზული ნაკლოვანებანია. საქალაქო კომიტეტი და რაიკომები ცოტას მუშაობდნენ მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე. ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით მოსახლეობის წინაშე.

— თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში, — მიუთითებდნენ კონფერენციაზე, — იდეოლოგიური მუშაობა ჩამორჩება. პარტიის თბილისის კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა სასწავლო და საშეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობას, არ წარმართავდა მათი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციები ცოტას მუშაობდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი და სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე.

კონფერენციაზე გაკრიტიკებულ იქნა რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეტანაძემ.

საანგარიშო მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 22 დელეგატმა.

საქალაქო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი. კონფერენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო საქართველოს დედაქალაქის — თბილისის კომუნისტების მჭიდრო დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

* * *

გაიმართა პარტიის თბილისის ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. სეხნიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. მამაცაშვილი, მდივნად — ამხ. ე. ჩოფიკაშვილი.



ერთადერთი ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის სახლ - მუზეუმი ქ. კუიბიშევში. ი. ი. ტატარინოვის სახლში 1889 1893 წლებში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. ოთახი სადაც არის მორთული. ერთ კუთხეში დგას რკინის ბატარა საწოლი, მას გადაფარებული აქვს ბოკვის გაქათქათებული ხალიჩა. ფანჯარასთან საწერი მაგიდაა. მაგიდის გვერდით ხამი სკამი და წიგნებით სავსე ეტალერია. ხელმეორე: ოთახი, რომელშიც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა.

ფოტო ა. ხანჩინისა.

მზადება ლენინის დღეებისათვის

ქუთაისი, 18 იანვარი. (საქდესი). ქუთაისის მშრომელები წმიდად ინახავენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დიდი ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

ქუთაისის საწარმოებში, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამი ათასამდე აგიტატორი აწყობს საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

სახელმწიფო საჯარო, საქალაქო და საქარხნო ბიბლიოთეკებში მოწყობილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა, აგრეთვე გენიალური ლენინისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის გამოფენები. ქალაქის კინოთეატრებში უჩვენებენ საუკეთესო საბჭოთა კინოფილმებს, რომლებიც ასახავენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

* * *

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში გაიმართა მზადება დიდი ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისათვის. ქალაქის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე მაღაროების ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოეწყო ვ. ი. ლენინის შრომების, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები.

მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები და მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ამავე საკითხზე საუბრებს ატარებენ მაღაროელი აგიტატორები. იკითხება ლექციები ვ. ი. ლენინის შრომებზე „რა ვაკეთოთ?“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და სხვ.

ამ დღეებში კინოთეატრში და მაღაროთა კლუბებში აჩვენებენ ცნობილ კინოფილმებს „ვ. ი. ლენინი“, „ლენინი ოქტომბერში“, „თოფიანი კაცი“.

* * *

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონში ფართოდ გაჩაღდა მზადება საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად.

პარტიის რაიონულ კომიტეტში გაიმართა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა თათბირი. პარტიული ბიბლიოთეკაში, სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ბიბლიოთეკებში მოეწყო გამოფენები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვაგან ეწყობა ლექცია-მოხსენებები და საუბრები, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი. აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრეები აწყობენ საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. კინოთეატრში მაყურებლებს უჩვენებენ დიდი ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ კინოფილმებს.

ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი ქ. კუიბიშევში

ვლადიმერ ილიას-ძე 19 წლისა იყო, როდესაც მშობლებთან ერთად სამარაში ჩავიდა.

ულიანოვები ჯერ ვოლგის ახლოს დასახლდნენ, შემდეგ კი გადავიდნენ რიტკოვის სახლში (ახლა მუშათა ქუჩისა და ვოროშილოვის ქუჩის კუთხე).

ამ სახლში 25 წლის წინათ მოეწყო ვ. ი. ლენინის მუზეუმი. თუთრი მარმარილოს მემორიალური დაფაზე ოქროს ასოებით წარწერილია: „ამ სახლში 1889-1893 წლებში ცხოვრობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“. ზემოთ ლენინის ბრინჯაოს ბარელიეფია. ამ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა მაშინ ულიანოვებისა და ელიზაროვების ოჯახი.

ბევრი ნახულობს სახლს, სადაც სათუთად ინახება ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შესანიშნავ ცხოვრებასთან. დიდი ბელადის ხსოვნის პატივსაცემად აქ მოდიან ექსკურსანტები, დელეგაციები. აქ შეხვდებით მუშასაც, კოლმეურნესაც, მოსამსახურესაც, სტუდენტსაც, კომკავშირელსაც, მოსწავლესაც, ნორჩ პიონერსაც. ხშირად მოდიან მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. მოდიან მთელი ოჯახებიც.

ტრადიციად იქცა პიონერთა შეკრებების მოწყობა მუზეუმის ოთახებში. ხშირად ეწყობა მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელის სხვადასხვა ფორმის წრეებისა. მუზეუმის მასალებზე მსმენელები სწავლობენ ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას.

1953 წელს მუზეუმი ინახულა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩასულმა 26 ათასზე მეტმა კაცმა. მარტო ორგანიზებული ექსკურსია 860 იყო. არსებობის 25 წლის მანძილზე მუზეუმი მოიმსახურა 600.000 კაცს. შთაბეჭდილებათა წიგნში „ნახველები გულთბილად ახსენებენ ყველაფერს, რაც აქ ნახეს.

ახლა, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით, ექსკურსანტების რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა. განსაკუთრებით ბევრი მოდის პიონერი და მოსწავლე. ისინი აქ სწავლობენ იყვნენ ისეთივე მამაცნი, შრომისმოყვარენი, ხალხის ერთგულნი, როგორიც ვლადიმერ ილიას-ძე იყო.

მუზეუმის ექვსი ოთახის ექსპონატებში ასახულია მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის მრავალფეროვანი ცხოვრება. ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველ გარკვეულ პერიოდს ცალკე ოთახი აქვს დათმობილი.

ფართო დარბაზში — ილიჩის დედის ყოფილ ოთახში ასახულია ილიჩის ბავშვობის წლები. ექსკურსანტებს თვალწინ ესახებათ ქალაქი სიმბირსკი, სადაც 1870 წლის აპრილში დაბადა ხალხთა დიდი ბელადი. აი იმ სახლის აკვარელი, სადაც ილიჩი დაბადა, და მაკეტი სახლისა, რომელშიც ულიანოვთა ოჯახი ცხოვრობდა სიმბირსკიდან წასვლამდე. ოთხი წლის თმახუჭუჭა ვოლოდია ულიანოვის პორტრეტი, კედელზე მიბმიან ჩარჩოებში ინახება ახალგაზრდა ლენინის სასკოლო დოკუმენტები. მოსწავლეები გულდასმით ათვალიერებენ ვოლოდიას მიერ შესრულებულ საშინაო დავალებათა ნიმუშებს, ლენინის მიერ თვითეულ საგანში მიღებულ ნიშნებს. ყველა სვეტის ქვეშ „ხუთიანია“. აი რა შესანიშნავად სწავლობდა ახალგაზრდა ლენინი! ცალკე ფოტოსურათზე გადაღებულია მრგვალი ოქროს მედალი, რომელიც ლენინს 1887 წელს მიეცა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ.

აქედან ექსკურსანტები მეორე ოთახში მიდიან. აქ ასახულია ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრების ყაზანის პერიოდი. ლენინი უკვე ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტია, მაგრამ იქ სულ სამ თვეს სწავლობდა. იგი სტუდენტებს შორის გამოირჩევა თავისი მოწინავე შეხედულებებით. იგი იბრძვის უნივერსიტეტში რეაქციული წესების წინააღმდეგ. მომდევნო აკვარელზე გამოსახატულია ახალგაზრდა ლენინის პირველი გადასახლება ყაზანის ვუბერნიის სოფელ კოკუშკინოში. აქვე ექსპონირებულია ფოტოპორტრეტი ყაზანის სტუდენტთა პეტიციებისა პროტესტით პოლიციური რეაქციის წინააღმდეგ. იქვე ლენინის თხოვნა განათლების მინისტრის სახელზე ყაზანის უნივერსიტეტში კვლავ მიღების შესახებ და სხვა თხოვნები, რომლებითაც ლენინი ცდილობდა მიეღო სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა. აქვეა ექიმის ცნობა იმის შესახებ, რომ ილიჩს ესაჭიროებოდა მკურნალობა საფრანგეთის კურორტ ვიშში. ყველა ამ თხოვნასა და ცნობაზე ვხედავთ მოკლე რეზოლუციებს — „უარი ეთქვას“.

ცალკე კუთხეში კუიბიშეველი მხატვრების ე. ზაიცევის, ბ. ფილიპჩენკოს და ა. მახრინინის აკვარელებში ნაჩვენებია კუიბიშევის ოლქის სოფელი ალაკაევკა, სადაც 1889-1893 წლების ზაფხულის თვეებში ცხოვრობდა ულიანოვების ოჯახი. მზატვრებმა ალბეჭდეს ის ადგილები, სადაც მეცადინეობა და დასვენება უყვარდა ილიჩს.

ექსკურსიამძღოლი გვიამბობს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებაზე სამარაში, მის მუშაობაზე ქალაქ სამარის არალეგალურ წრეში. მის საიდუმლოდ უთვალთვალებდნენ პოლიციის ჯაშუშები, მაგრამ ეს ვერ აშინებდა ახალგაზრდა ლენინს. აქ, სამარაში, იგი განაგრძობდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ღრმად შესწავლას და მის პროპაგანდას წრეებში. ამავე დროს იგი დამოუკიდებლად ემზადებოდა იმისათვის, რომ ექსტერნად ჩაებარებინა გამოცდა უნივერსიტეტის სრული ოთხწლიანი კურსის მოცულობით. 1891 წელს ერთ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მოემზადა და ჩააბარა გამოცდა იურიდიული ფაკულტეტის მთელი კურსის მოცულობით. მას პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა. ლენინის შეფასება ფულცელზე „ფრიად დამაკმაყოფილებელია“ — ეს იმ დროს უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის უმაღლესი შეფასება იყო.

აი ექსპონირებულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ვლადიმერ ილიას-ძის მუშაობა ნაფიც ვექილად სამარის საოლქო სასამართლოში. იქვეა გლეხთა იმ საქმეების ფოტოპორტრეტი, რომლებიც მაშინ ლენინს ჰქონდა. სასამართლოში ლენინი ყოველთვის იცავდა ღარიბ გლეხებს.

ახალგაზრდა მნახველთა ყურადღებას იპყრობს კუთხეში მდგომი კარადა. მას ასეთი წარწერა აქვს: „ვ. ი. ლენინის მიერ სამარაში წაკითხული წიგნები“. აქ შეკრებილია მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული წიგნები, მხატვრული და სხვა ლიტერატურა, მაშინდელი ჟურნალები, რომლებზეც მუშაობდა ლენინი. ბევრ წიგნზე ოვალური ბეჭედია: „სამარის საჯარო ბიბლიოთეკა“.

უდიდესი მღელვარებით მიდიან ექსკურსანტები ლენინის ოთახთან. აქ ცხოვრობდა დიდი ბელადი. ოთახი სადაც არის მორთული. დგას რკინის პატარა საწოლი ოვალური ხაზურგეებით. მას გადაფარებული აქვს ბოკვის გაქათქათებული ხალიჩა. ფანჯარასთან საწერი მაგიდაა. მაგიდაზე საწერი მოწყობილობა და დიდი საანტორო საანგარიშო. მაგიდის აქეთ-იქით არის სამი სკამი, ძველი წიგნებით სავსე ეტალერი. გგონია, ლენინი ეს არის გასულა და მალე დაბრუნდება, რომ მუშაობა განაგრძოსო. ბევრს და ბევრჯერ შრომობდა ამ ოთახში ვლადიმერ ილიას-ძე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა და მთელი პროგრესული კაცობრობის გულში წარუშლელია მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის სახე. საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდის კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

ბ. ხანჩინი.



ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის შენობა ქ. კუიბიშევში.

ფოტო ხანჩინისა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე

მ. თ. შკირიატოვი



1954 წლის 18 იანვარს საღამოს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე, კომუნიზმის დიადი საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი.

მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი დაიბადა 1883 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. ჭაბუკობიდან მან გაიარა ცხოვრების მკაცრი სკოლა, ჯერ სოფელში, შემდეგ ქალაქში მუშა-მკერავად.

1906 წელს მ. თ. შკირიატოვი შედის კომუნისტურ პარტიაში და დიდ პარტიულ მუშაობას ეწევა მკერავ მუშებში. მეფის პოლიცია ფხიზლად ადევნებს თვალყურს ახალგაზრდა ბოლშევიკს და 1909 წელს აპატიმრებს მას. განთავისუფლების შემდეგ ამხანაგი შკირიატოვი კვლავ იწყებს რევოლუციურ მოღვაწეობას. ეწევა პარტიულ მუშაობას მოსკოვის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

1910 წელს პოლიციამ კვლავ დააპატიმრა მ. თ. შკირიატოვი და მოსკოვიდან გაასახლა იგი. ამხანაგი შკირიატოვი რევოლუციურ არალეგალურ მუშაობას ეწევა დონის როსტოვში. მალე მ. თ. შკირიატოვი კვლავ დააპატიმრეს და 3 წლით გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. 1914 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მ. თ. შკირიატოვი დიდ არალეგალურ პარტიულ და პროფესიულ მუშაობას ეწევა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში.

1915 წელს მათე თევდორეს-ძე რიგით ჯარისკაცად გაიწვიეს არმიაში. არმიაში სამსახურის დროს ამხანაგ შკირიატოვს მჭიდრო კავშირი ჰქონდა არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციასთან ტულაში, ხოლო შემდეგ მოსკოვში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში ამხანაგი შკირიატოვი ჯარის ნაწილის ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან აირჩიეს მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. იგი დიდ ორგანიზაციულ და საორგანიზაციო მუშაობას ეწევა მოსკოვის გარნიზონის ჯარისკაცებში, აგრეთვე მოსკოვის ქარხნებსა და ფაბრიკებში. იგი პარტიის მოსკოვის კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციათა ბიუროს წევრია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ მ. თ. შკირიატოვი იმყოფებოდა ტულაში, სადაც მუშაობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლად ტულის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში. ოქტომბრის გადატრიალების დღეებში იგი ტულის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი იყო.

1918 წლის აგვისტოში ამხანაგი შკირიატოვი აირჩიეს მკერავთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. იგი ეწევა აგრეთვე პარტიულ მუშაობას როგორც პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის წევრი. 1920 წელს იგი არის მკერავთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილების თავმჯდომარე და პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი.

1921 წელს მ. თ. შკირიატოვი სამუშაოდ გადადის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მეთაურობს პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის ცენტრალურ კომისიას. პარტიის XI ყრილობაზე ამხანაგმა შკირიატოვმა გააკეთა მოხსენება წმენდის შედეგების შესახებ. ამ ყრილობაზე იგი აირჩიეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად. 1923 წლიდან მ. თ. შკირიატოვი ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრია.

ამხანაგი შკირიატოვი არაერთხელ ყოფილა არჩეული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ მ. თ. შკირიატოვი აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წევრად. პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი შკირიატოვი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1939 წლიდან 1952 წლამდე იგი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგი შკირიატოვი აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამხანაგი შკირიატოვი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი დაჯილდოებული იყო ლენინის სამი ორდენით და საბჭოთა კავშირის მედლებით.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა მტკიცე და ურყევი კომუნისტი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი, რომლის ნათელი ცხოვრება პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ამხანაგი შკირიატოვი დაადგა ხალხის საქმისათვის ბრძოლის რევოლუციურ გზას, გახდა საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის უშიშარი მებრძოლი. პარტიასთან ერთად მან გაიარა დიდი და სახელოვანი გზა, მთელი თავისი ძალღონე მოახმარა თავის ხალხს, დიდ საბჭოთა სამშობლოს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. მათე თევდორეს-ძე შკირიატოვის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ლენინის დღეები უცხოეთში

პოლონეთი

ვარშავა, 18 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები წმიდად ინახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდი შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით ადგილობრივ ორგანიზაციებში, ქარხნებში, ფაბრიკებში და მუნიციპალიტეტებზე აწყობს გამოფენებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ წარმატებებს, ხალისა, რომელიც მიდის ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. მთელ რიგ საწარმოებში მთავრდება მზადება თემატური გამოფენების გახსნისათვის: „ლენინური გზით“, „მშვიდობიანი მშენებლობა საბჭოთა კავშირში“, „სსრ კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

პორონინოს ვ. ი. ლენინის მუზეუმში ამ დღეებში ჩამოდიან სილეზიის მაღაროელთა და მეტალურგთა ექსკურსიები, მანქანათმშენებლები პოზნანიდან, გეთმშენებლები და ფეიქრები. ვ. ი. ლენინის ძეგლი მუზეუმის გვერდით ყვავილებით არის შემკული.

სახალხო პოლონეთის მშრომელები ამ დღეებში ოგრეთვე ექსკურსიებს აწყობენ ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ისინი ათვალიერებენ ისტორიულ სახლს სოფელ. ბელი დუნაეცში, სადაც 1913 წლისა და 1914 წლის ზაფხულში ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი.

კრაკოვში, სადაც 1912-1914 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი, მთავრდება მზადება ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნისათვის. მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავის დღეს.

კორეა

ფხენიანი, 18 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავად. ფხენიანში, ვონსანში, სინიჯუში და კორეის სხვა ქალაქებში მიმდინარეობს მზადება დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენების გახსნისათვის. ქალაქისა და სოფლის კინოთეატრებში უჩვენებენ კინოფილმებს „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „თოფიანი კაცი“, „დაუვიწყარი 1919 წელი“. ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოცემებად გამოდის სსრ კავშირთან კორეის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ორგანო ჟურნალი „ჩოსო ჩინსონი“ და გაზეთი „ჩოსო მუნხვა“. კორეის ყველა გაზეთი აქვეყნებს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიებს. გაზეთმა „ნოდონ სინმუნმა“ დღეს მოათავსა სტატია სათაურით „ლენინის ყოვლისმძლე იდეები“. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა საზეიმო-სამგლოვიარო კრებები.

მონღოლეთი

ულან-ბატორი, 18 იანვარი. (საკდესი). მონღოლი ხალხი, წმიდად ინახავს რა დიდი ლენინის ხსოვნას, ემზადება აღნიშნოს მისი გარდაცვალების 30-ე წლისთავი. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ულან-ბატორის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა წაიკითხა ლექციების ციკლი: „ლენინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი“, „ლენინი— მონღოლი ხალხის ერთგული მეგობარი“.

საუბრები, მოხსენებები და ლექციები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ იმართება აიმაკების და სომონების ცენტრებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და არატა საწარმოო გაერთიანებებში.

ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მიმდინარეობს ლენინის ნაწარმოებთა კითხვა. კლუბებში და წითელ კუთხეებში გახსნილია ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები, მის ნაწარმოებთა გამოფენები.

პასუხი შეკითხვაზე

ჯხმერის ხალხის ბრძოლა ეროვნული [illegible] დამოუკიდებლობისათვის

ამხ. კ. ნიჟარაძის (ასპინძის რაიონი) შეკითხვა

ვიეტნამის და პატეტ-ლაოს ხალხებთან ერთად სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებით იბრძვის ჯხმერის (კამბოჯის) ხალხიც. იგი ფრანგ კოლონიზატორთა და ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს გმირობას და სიმამაცეს იჩენს.

ჯხმერი (კამბოჯა) მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ვიეტნამი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით პატეტ-ლაო და ტაილანდი, სამხრეთით კი სიამის უბე. მისი ტერიტორია შეადგენს 191 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 4 მილიონზე მეტია. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ჯხმერები (დაახლოებით 3 მილიონი). დედაქალაქია პნომპენი.

ჯხმერი მდიდარია ნოყიერი ველებით, საძოვრებით, წიაღისეულით. მოჰყავთ ბრინჯის, სიმინდის, თამბაქოს, ყავის, ბატატის, ბამბის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. დიდ შემოსავალს იძლევა კაუჩუკის პლანტაციებიც.

ინდოჩინეთის ქვეყნების და მათ შორის ჯხმერის ბუნებრივმა სიმდიდრეებმა დიდი ხნის წინათ მიიქციეს ფრანგ კოლონიზატორთა ყურადღება. 1858 წლიდან მათ დაიწყეს ამ ქვეყნების დაპყრობა. ფრანგმა მოძალადეებმა პატეტ-ლაოს უწოდეს ლაოსი, ჯხმერს — კამბოჯა და ა. შ. ფრანგი კოლონიზატორები მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაუსჯელად თარეშობდნენ ინდოჩინეთის ქვეყნებში. ისინი ხელში იგდებდნენ საუკეთესო მიწებს, წიაღისეულს, უსაზღვრო ექსპლოატაციას უწევდნენ მოსახლეობას, აწამებდნენ უძველეს კულტურას, ხელს არ უწყობდნენ საკუთარი მრეწველობის განვითარებას.

როგორც მოსაზღვრე ქვეყნების, ისე ჯხმერის მოსახლეობაც აფიერთხელ აჯანყდა მონობის უღლის მოსაშორებლად, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მაგალითად, 1864 წელს აჯანყება მოხდა კამპოს პროვინციაში, 1885 წელს — კამპონგ-ჩამის პროვინციაში, 1886 წელს — კამპონგ-ტომის პროვინციაში, 1916 წელს — კამპონგ-ჩიანგის პროვინციაში. 1942 წელს 2 ათასი ბუდისტი მღვდელი აჯანყდა აშარა ხამშიეს მეთაურობით. ფრანგები ყოველთვის სისხლში ახშობდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, სასტიკად უსწორდებოდნენ მის მონაწილეებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს ინდოჩინეთი დაპყრობილ იქნა იაპონელი იმპერიალისტების მიერ. მათი სახით ჯხმერს არანაკლები მტაცებლები მოევლინენ. ვიეტნამელი ხალხის მსგავსად პატეტ-ლაოს და ჯხმერის ხალხები ერთსულოვნად აღსდგნენ იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბრძოლველად. იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შემდეგ ამ ქვეყნებმა თითქმის მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ 1945 წლის 23 სექტემბერს კვლავ დაიპყრეს ფრანგმა კოლონიზატორებმა და ისევ დაადგეს მონობის უღელი ამ ქვეყნების ხალხებს. ისევე როგორც მისი მეზობლები, ჯხმერის მოსახლეობაც არ დაემორჩილა ფრანგ მოძალადეებს. ახალი ძალით გაჩაღდა პარტიზანული ომი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო გაქანებით შეშფოთებულმა ფრანგმა კოლონიზატორებმა ნაცად მეთოდს მიმართეს — 1949 წელს ჯხმერს მიანიჭეს „დამოუკიდებლობა“. გამოაცხადეს იგი სახელმწიფოდ, რომელიც თითქოს ნებაყოფლობით უერთდებოდა საფრანგეთის კავშირს, დასვეს მარიონეტული მთავრობა. მაგრამ ამ მანევრით მათ ვერ შეძლეს თვალი აეხვიათ ჯხმერის მოსახლეობისათვის, რომელმაც ახალი ძალით განაგრძო ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. პარტიზანების მიერ ფრანგი ოკუპანტებისაგან უკვე განთავისუფლებულია მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი, სადაც მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ახლა პარტიზანები ყოველ მხარეში მოქმედებენ და შიშის ზარს სცემენ ოკუპანტებს.

ჯხმერის მარიონეტი მეფე სიანუკი 1953 წლის აპრილში იძულებული იყო ეთქვა, თუ ფრანგები უახლოეს თვეში კამბოჯას არ მიანიჭებენ დამოუკიდებლობას, არსებობს იმის საფრთხე, რომ ხალხი ერთსულოვნად აჯანყდება არსებული რეჟიმის დასამხობადო. მართლაც, განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითიდღე ძლიერდება.

განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დიდი პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები ხორციელდება. ჯერ კიდევ 1950 წელს შედგა თავისუფალი ჯხმერის პირველი ეროვნული კონგრესი. მას ესწრებოდა მოსახლეობის ყველა ფენის 200 წარმომადგენელი. კონგრესზე არჩეულ იქნა განთავისუფლების ცენტრალური სახალხო კომიტეტი და გაერთიანებული ფრონტის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. არჩეულ იქნა ჯხმერის დროებითი მთავრობა სონ იგოკ მინეშის მეთაურობით. ეროვნული განთავისუფლების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა თავისუფალი ჯხმერის დამოუკიდებლობის ისტორიული დეკლარაცია, სადაც ნათქვამია: „ყველანი, ვისაც ჯხმერის სისხლი გიჩქეფთ ძარღვებში, აღსდექით ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“. ხალხი ერთსულოვნად აღსდგა ამ მოწოდების სახასუხოდ. ახალი ძალით გაჩაღდა გმირული ბრძოლა ოკუპანტთა გასადევნად.

ჯხმერის მოსახლეობა, რომელიც ვიეტნამისა და პატეტ-ლაოს ხალხებთან ერთად გმირულად იბრძვის, მალე მოიპოვებს სრულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

კ. ჯოხიძე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალგაზრდა მწერლების პირველი ნაბიჯები

მხატვრულ ლიტერატურაში სულ უფრო თამამად შემოდიან ახალი ნიჭიერი კადრები. რამდენიმე მათგანმა პირველი წიგნებიც გამოაქვეყნა. ამას წინათ გამოვიდა ახალგაზრდა მწერლების ალმანახი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქართველ ლიტერატორთა სულ უმცროს თაობაზე.

პოეზიის განყოფილებაში 50-ზე მეტი ავტორის ლექსებია დაბეჭდილი. მათ შორის ზოგიერთი მართლაც ნიჭსა და საიმედო მონაცემებს ამჟღავნებს.

ახალგაზრდა მწერალი საკუთარი, ბუნებრივი ხმით უნდა ლაპარაკობდეს, წერდეს მხოლოდ იმაზე, რაც შინაგანად განუცდია, რაზეც ხანგრძლივად უფიქრია, უოცნებია. თავისთავად ცხადია, რომ ეს განცდები, ფიქრები და ოცნებები მხოლოდ მაშინ არის ღრმა და საინტერესო, როდესაც ისინი ცხოვრების ქურაში ნაწრთობ ახალგაზრდა ადამიანს ეკუთვნის.

ალმანახში პოეზიის განყოფილების ერთფეროვნების ფონზე მაინც ვხვდებით ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებებს. მიმზიდველია ო. ჭილაძის „ბავშვები რადიოსთან“, შ. ნიშნიანიძის „იაინიჩრული ბალადა“, ზ. ბოლქვაძის „ლურჯ ცაზე მზეა“, ტ. ჭანტურიას „პაპიროსი „ავრორა“ და რამდენიმე სხვა ლექსი. ანა მათში ყველაფერი სრულყოფილია? არა! დაკვირვებული თვალი ამ ლექსებშიც შეამჩნევს გულუბრყვილობის, ბოლომდე დაუხვეწაობის ელემენტებს, მაგრამ თვითეულში იგრძნობა ის შინაგანი ცეცხლი, რასაც ილია ჭავჭავაძე პოეტურ მადლს უწოდებდა. ცხოვრების დიდ სიმართლეს ისინი საკუთარი ფერებით, ინტონაციით გამოხატავენ. ამას აღწევენ არა გარეგნული, მყვირალა ეფექტებით, არამედ უშუალო, ბუნებრივი სიტყვებით, გამოთქმებით.

ო. ჭილაძე ლექსში „ბავშვები რადიოსთან“ დასამახსოვრებელი შტრიხებით აღადგენს ჩვენს თვალწინ 5 მარტის სამწუხარო განცდებს. ყოველი ფრაზა დიდი შინაგანი მოელვარების გამომხატველია. კონკრეტულით ზოგადის ჩვენება იყო და არის პოეზიის უპირველესი ღირსება, და ეს უდავოდ იგრძნობა ახალგაზრდა პოეტის ამ ლექსში.

სახეების სითამამით, მოულოდნელობითა და სიმკვეთრით გამოირჩევა შ. ნიშნიანიძის „იანიჩრული ბალადა“, რომელიც კორეაში გამწესებული თურქი „მოხალისის“ სულთათანასავით გაისმის. ბალადაში ამბავი პუბლიცისტური მანერით ვითარდება, მაგრამ ავტორი ისეთ დეტალებს პოულობს, რომ თემას თავისებურად განგვაცდევინებს. მძაფრია ლექსის სარკაზმიც, რომელიც მიზანში ხვდება.

ალმანახში ახალ ავტორებთან ერთად გვხვდებიან აკაკი გეწაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, თამაზ ჭილაძე, ალექსანდრე ბეგაშვილი, ვახტანგ გოგოლაშვილი და სხვები, რომლებსაც მკითხველი უფრო მეტად იცნობს. ყველა მათგანი სრული შესაძლებლობით როდი მოჩანს. ეს არა იმიტომ, რომ აქ მათი ცოტა ლექსი იყოს დახეჭდილი, არამედ იმიტომ, რომ ისინი გულდასმით არ არის შერჩეული.

მუხრან მაჭავარიანის პირველი ლექსები საზოგადოებამ გულთბილად მიიღო, მაგრამ მისი შემოქმედება სწორი გზით არ მიემართება. ბოლო დროს ავტორი გარეგნული ეფექტებით ცდილობს შთაბეჭდილების მოხდენას. ეს ძალიან საშიშია და ახალგაზრდა პოეტს სულ უფრო და უფრო აცდენს მხატვრული სიმართლის გზიდან. მ. მაჭავარიანი ზოგჯერ მეტისმეტად იკეტება თავის პიროვნულ ნაკუჭში. იგრძნობა, რომ სათქმელი ცოტა აქვს და თავის თავს იმეორებს. ამ შემთხვევაში ორიგინალობის მიღწევა უნაყოფოა და ავტორის მხატვრული ძიება ფორმალიზმს უახლოვდება. მაგალითად, ლექსი „მიწიერი ალმაფრენა“ ასეთი სტრიქონებით იწყება:

„დილის ცვარი ქალაკოდას შერჩენია
ქარვასავით,
სიმინდების გასაპარსად მოშრიალებს
ქარვარსამი.
ჩინებულად შეუნახავს მოკურდღლეე ყანა
გლედიჩს,
ქარქვეტებში გარბის ქარი ულვაშების
წანაგლეჯით“...

ავტორის მიერ დახატული სურათი ზერელეა, თვითმიზნური და გაუმართლებელი გამოთქმებით დამძიმებული. სხვა ლექსებიც („რუსთაველი“, „სამგორის ტირიფები“ და ა. შ.) სცოდავენ სიტყვების თვითმიზნური თამაშით, ძნელი გასაგებია შინაარსი, იგრძნობა კომპოზიციური უწესრიგობა.

ლირიკული სიწრფელით და ინტიმურობით ხასიათდება ნ. კილასონიას ლექსები „აგარიდან აბისამდე“, „ყვავილების მაყარი ვარ“, „წითელ მოედანზე“. მათში მკითხველს ხიბლავს ბუნების ნალასი შეგრძნება, პოეტური განცდის უშუალობა, ნათელი მხატვრული საღებავები.

მ. კახიძე პოეტური ხმის დახვეწადადგენის პროცესშია. ვერ ვიტყვით, რომ ალმანახში დაბეჭდილ მის ლექსებში „გზაზე“, „გულში მიცინის“, „კოლმეურნე ქალი“ იგრძნობოდეს შემოქმედებითი ძიება, ლექსის რიტმული სიმძაფრე. საჭიროა ავტორმა დაძლიოს გაუბრალოების საშიშროება.

ალმანახის აქტივში შედის ა. ბეგაშვილის „ალარ წევს ყრმა უსაფარი“, „მე მახსოვს“, ლ. მრელაშვილის „მოგზაურობა ამერიკაში“, დ. გიგიბერიას „კრემლის საათი“, ზ. კუხიანიძის „ჭუთაისი“, ა. აბულაშვილის „პაპაჩემი“, ვ. ჯავახაძის „იჩქარე კაპიტანო“ და სხვ. მაგრამ რამდენიმე კარგი ლექსი ალმანახის პოეტურ განყოფილებაში ამინდს ვერ ქმნის. ახალგაზრდა პოეტები კარგად ვერც ცხოვრებას იცნობენ და მხატვრულ ოსტატობაშიც საგრძნობლად მოიკოჭლებენ. ბევრი მათგანი (გ. ჩაჩხუნაშვილი, ბ. მეტრეველი, მ. ბიწაძე, გ. კლდიაშვილი, მ. აბრამიშვილი და სხვები) მხოლოდ ვერსიფიკაციის ელემენტარული კანონების ცოდნაზე ამყარებს იმედებს. ამიტომ არის მათი სტრიქონები ნაძალადევი, შაბლონური. მათი უმწიფარი ლექსების საზოგადოების წინაშე გამოტანა არაფრით არ არის გამართლებული. რა გრძნობებსა და ემოციებს აღუძრავს მკითხველს, მაგალითად, ო. მათიკაშვილის ლექსის ეს სტრიქონები:

„შენი სწორნი და დობილნი
გვერდში გიდგანან ყველა,
ერთსულოვანი შრომაა,
კოლექტივს ცხვარს წველავთ,
გაისმის ტკბილი სიცილი,
ჭრიამული და მღერა.
მთას ხან ღრუბლები ეხვევა,
ხან მზე ცხრათვალა ბრწყინავს,
ივსება ხვავით, ბარაქით
თქვენი ფარეხის ბინა“.

ლოგიკურად აქ ყველაფერი წესრიგზეა, მაგრამ ძლიერ ცოტაა სახეები, არ ხდება მისი საშუალებით აზრის გამოკვეთა. უამისოდ კი ყოველი ლექსი მოკლებულია მხატვრულ ღირსებას.

ახალგაზრდა ავტორი ს. ნარიმანიძე, ჩანს, გ. ლეონიძის პოეზიის გავლენით წერს ლექსებს. მხატვრული სიტყვის ოსტატების გამოცდილება გულდასმით შესწავლის ღირსია, მაგრამ ეს ეპიგონობად როდი უნდა იქცეს. კითხულობთ ამ ახალგაზრდის ლექსს „ჩვენება მთებში“ და გრძნობთ, რომ ასეთი რამ ოდესღაც წაგიკითხავთ. მაშინ იგი ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხლით გაგზნებდათ, ახლა მისი მკრთალი ანარეკლია. განწყობილება, რიტმი, სახეები, თვით ლექსიკა — ყველაფერი მიბაძვის იერს ატარებს.

ახალგაზრდა პოეტების დიდი ნაწილი ემპირიულად დაცოცავს ცხოვრების ზედაპირზე, რთულ მოვლენებში ჩაწვდომისა და შემოქმედებითი გააზრების ნაცვლად, გულუბრყვილოდ დახატულ სურათებს გვთავაზობს. მათი გამოსახვითი საშუალებები უალრესად პრიმიტიულია, ლექსიკა — ღარიბი, რიტმი — მოდუნებული, სტილი — რიტორიკული.

საჭირო იყო, რომ ალმანახში გამოქვეყნებული მასალებისადმი სარედაქციო კოლეგიას უფრო მეტი, სამართლიანად მკაცრი მომთხოვნელობა გამოეჩინა. მაშინ არ იქნებოდა ასეთი საოცარი დისპროპორცია რაოდენობასა და ხარისხს შორის.

ალმანახის პროზაში დაბეჭდილია ი. ურჯუმელაშვილის დიდი მოთხრობა „თანატოლები“. იგი საინტერესო ნაწარმოებია. მოთხრობის ამ პირველ ნაწილში იგრძნობა, რომ ავტორი იცნობს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას, მის ადამიანებს, იმ დამახასიათებელ კონფლიქტებს, რაც განსაზღვრავს ძველის, დრომოჭმულის დამარცხებას და ახლის, მოწინავის გამარჯვებას. საკმაოდ მკაფიოდ ნაჩვენებია კოლმეურნეობათა გამსხვილების დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ავტორი იდილიურ ფერებს როდი მიმართავს. მის მოთხრობაში ბევრი მტკივნეული მოვლენაა გამოაშკარავებული, არა ერთი უარყოფითი სახეა გაშიშვლებული და გამათრახებული. ნაწარმოებში ყველაზე საინტერესო სწორედ ეს მხარეა. მკითხველს მეხსიერებაში რჩებიან ჯავახი, ჭრელაშვილი, კუკუჭა და სხვები, რომლებიც ცხოვრების სინამდვილიდან არიან აღებული.

მოთხრობის დადებითი გმირები უფრო ცოცხლად, კონკრეტულ ვითარებაში არიან დახატული. ტიპიურია უფროსი მეცხვარე ვანო, მოხუცი ბერო, აგრეთვე ნაწარმოების მთავარი გმირი, ახალგაზრდა აგრონომი ნათელა მეცხვარიშვილი.

მოთხრობა მოიგებდა, კომპოზიციურად უფრო მკვიდრად რომ იყოს შეკრული და ენობრივად დახვეწილი. შეიძლება დაზუსტება ესაჭიროება სერგოს სახეს. უნდა გაღრმავდეს ნატოს ხასიათიც, შემოკლდეს მეორეხარისხოვანი სცენები. ცხადია, ეს შეამცირებს მოქმედ პირთა რაოდენობას და ნაწარმოებს გარკვეულ ღირსებას შემატებს.

პოეტური სითბოთია დაწერილი ნათელა ონიაშვილის ორივე ესკიზი. ამიტომ მკითხველი გულისყურით მოელის ამ ავტორის ახალ მოთხრობებს.

პროზის განყოფილება მაინც ღარიბად არის წარმოდგენილი. ორი ავტორი აშკარად ცოტაა! ნუთუ ასე მცირერიცხოვანია ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსთა რიგები?

ორიოდე სიტყვა კრიტიკის განყოფილებაზე. თეორიული სიღრმითა და პრობლემატიკურობით ხასიათდება გ. ციციშვილის წერილი „ხასიათი და მისი დრამატურგიული განსახიერება“. ავტორი სწორ დებულებებს გამოთქვამს და ცხადყოფს მათ კონკრეტული ლიტერატურული მოვლენების ანალიზით. წერილი მოურიდებლად აკრიტიკებს ქართველ დრამატურგთა პიესებისათვის დამახასიათებელ პრინციპულ ნაკლოვანებებს, რასაც ბევრი ჩვენი კრიტიკოსი გაურბის.

გ. ხუხაშვილის წერილი ოთხი ნაწარმოების ფონზე არკვევს ახალგაზრდა ადამიანის პრობლემას ქართულ პროზაში. იგი მიმოხილვის მანერით არის დაწერილი და მხატვრული ანალიზის ელემენტებს თითქმის არ შეიცავს. წერილში არა ერთი შეუსაბამობა და გაურკვეველი ადგილია. ავტორი ერთგან წერს: „მექის ახალ ხასიათთან ერთად იშვა ახალი სოფლის ყოფა“. სინამდვილეში მექის ახალი ხასიათი ახალი სოფლის ყოფის შედეგი იყო და არა პირიქით, როგორც ეს ავტორს გამოუდის. შემდეგ ვკითხულობთ: „მისი (ე. ი. ქიშვარდის. — ვ. ბ.) პროტოტიპია რომანში ბონდო ქილიფთარი“. აქ ავტორს ეტყობა, ანტიპოდის თქმა სურდა, და მაშინ მართალიც იქნებოდა. წერილში ერთი და იგივე ფრაზა ხშირად მეორდება სხვადასხვა (ხან ერთსა და იმავე) აბზაცში. საერთოდ წერილი ნაჩქარევად და ზერელედ დაწერილია.

ეს განყოფილება მთავრდება ე. მაღრაძის, გ. პეტრიაშვილის და მ. ჭარხავას წერილით „კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლები მშვიდობის სადარაჯოზე“, რომელსაც ძირითადად ინფორმაციული ხასიათი აქვს.

ყოველ ახალ ლიტერატურულ თაობას მოეთხოვება მკაფიოდ გვიჩვენებდეს თავის სახეს, სულიერ სამყაროს, ბიოგრაფიას, ღრმა ფიქრებს ცხოვრებაზე, სინამდვილის აქტუალურ მოვლენებზე, მოიტანოს ახალი თემები, ფერები და ინტონაცია. უამისოდ იგი მკითხველის გულისა და გონებისაკენ გზას ვერ გაიკაფავს.

ახალგაზრდა მწერლები არასოდეს არ უნდა ივიწყებდნენ, რომ მათი ადგილი იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ეცეცხლის ხაზზეა და ყოველთვის მაღლა ეჭიროთ კომუნისტური პრინციპულობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ჰუმანიზმის დროშა.

საჭირო მხატვრული ოსტატობის დონის გადაჭრით ამაღლება, ცოცხალი ცხოვრების ღრმად შესწავლა. ჩვენ გვინდა საკუთარი ხმის მქონე, ნიჭიერი მწერლების ახალი ცვლა. ლიტერატურაში ყველაზე საშიში ავადმყოფობაა ერთფეროვნება, მოსაწყენი სამუალობა. აუცილებელია მთელი სიმძაფრით გავაჩაღოთ ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ და ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედ ძალებს.

ვ. ბაიაძე.

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების პრესა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 18 იანვარი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა საბჭოთა კავშირს ყველა ხალხთან ერთად აღნიშნავს ორი დიდი მოძმე ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების გაერთიანების 300 წლისთავს.

გაზეთი „რუდე პრავო“ ათავსებს ქალაქ კიევის ფოტოსურათებს და მოგვითხრობს უკრაინის სსრ ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ ზრდაზე. მოწინავე სტატიაში — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობა“ გაზეთი წერს: დღეს უკრაინელი და რუსი ხალხები, ხოლო მათთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი აღნიშნავენ თავიანთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს. 300 წელი გავიდა რუსეთთან უკრაინის შეერთების დღიდან, 300 წელი გავიდა ამ დიდი ისტორიული მოვლენის შემდეგ, რომლითაც დამთავრდა უკრაინელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ, რუს ხალხთან გაერთიანებისათვის.

საბჭოთა კავშირმა, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, მეგობრობა და თანამშრომლობა თავისი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად გაიხადა. უაღრესად მჭიდრო სამეურნეო თანამშრომლობა აკავშირებს სოციალისტიზმისა და მშვიდობის ბანაკის ქვეყნებს. ეს მათი ურთიერთ განვითარებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ძალთა ზრდის საიმედო გარანტიაა.

დიდი იმედით და სიყვარულით შეჰყურებენ ხალხები საბჭოთა კავშირს, რომელიც მათთვის გახდა სახელმწიფოში ეროვნული საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტის მაგალითი და რომლის საგარეო პოლიტიკა მათ უსახავს მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრული თანამშრომლობის ნათელ გზას.

პოლონეთი

ვარშავა, 18 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები დღეს აქვეყნებენ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ სტატიებს.

სარედაქციო სტატიაში „პერეიასლავის რადა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

„ამ საზეიმო დღეს მთელი სახალხო პოლონეთი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხებს, იხსენებს რა მათთან ერთად უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსი და უკრაინელი ხალხების ისტორიაში, აგრეთვე პოლონელი ხალხის ისტორიაში. ჩვენი ხალხი, რომელიც გმირ საბჭოთა ხალხს უნდა უმადლოდეს ჰიტლერული ოკუპაციის უღლისაგან განთავისუფლებას, პოლონეთის მთელი მიწაწყლის გაერთიანებას დამოუკიდებელი და სუვერენული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებში და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის შესაძლებლობას, განსაკუთრებით გულითადად მიესალმება ამ დღეს მოძმე უკრაინელ ხალხს, რომელიც გაერთიანებულია თავისი სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრებში და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად წარმატებით აშენებს კომუნიზმის დიად შენობას“.

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანომ გაზეთმა „გლოს პრაცამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნავს ორი მოძმე ხალხის გაერთიანების აქტის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას.

18 იანვარს, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად პოლონელი ხალხიც გამოხატავს თავის გულითად მხურვალე გრძნობებს უკრაინელი ხალხისადმი, რომელთანაც ეგი დღეს ცხოვრობს ძმური მეზობლური მეგობრობის ურთიერთობით მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის დიდ ბანაკში.

სოციალისტურ საბჭოთა სახელმწიფოში, აღნიშნავს „გლოს პრაცა“, უკრაინელმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, ხოლო დღეს კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ძლევამოსილად მიდის კომუნიზმისაკენ. რუსი და უკრაინელი ხალხების ძმური თანაარსებობა სოციალისტური სახელმწიფოს ოჯახში მთელი მსოფლიოსათვის მაგალითია ხალხთა მეგობრობისა, რომელიც თან მოიტანა სოციალისტურმა წყობილებამ.

ბულგარეთი

სოფია, 18 იანვარი. (საკდესი). აღნიშნავს რა დღეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერს:

რუსეთთან უკრაინის შეერთება ორი მოძმე სლავი ხალხის მთელი წინა ისტორიის კანონზომიერი შედეგია და შეესაბამება რუსთა და უკრაინელთა ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს. სამუდამოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი რუს ხალხს, უკრაინელმა ხალხმა იხსნა თავი მონობისაგან და გადარჩა როგორც ერი. რუსეთის სახით უკრაინამ ჰპოვა დიდი დამცველი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სამასი წელია რუსები და უკრაინელები მეგობრულად ცხოვრობენ საერთო სახელმწიფოში. ამჟამად მათი მეგობრობა უფრო მტკიცე და ურღვევია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ უკრაინელ ხალხს დაუსახა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო ჰორიზონტები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ განახორციელა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფება — უკრაინის ყველა ტერიტორიის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობის საფუძველზე უმჯობესდება უკრაინელი ხალხის ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობა, იფურჩქნება უკრაინული სოციალისტური კულტურა.

რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრობა, გაბატონებულ გზეთი, საუკეთო მაგალითია დიდი ცხოველმყოფელი ძალისა, რომელსაც შეიცავს საბჭოთა ხალხების ძლევამოსილი კავშირი. ეს ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ბრძნული ლენინურ-სტალინური პოლიტიკის დიდი მონაპოვარია.

საბჭოთა ქვეყნის საზეიმო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულზე, წერს დასასრულ გაზეთი, ჩვენი ხალხი სულით და გულით უერთებს თავს სახარულს საბჭოთა ხალხების სიხარულს და უსურვებს რუს, უკრაინელ და ყველა საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში.

საგარეო საქმეთა მინისტრების გერლინის თათბირის წინ

დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა

ბერლინი, 18 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის საგანგებო იუწყება: ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ ბერლინის თათბირთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის მოელმა რიგმა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა — მეცნიერებმა, მწერლებმა, მსახიობებმა, კულტის მსახურებმა — საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებს მიმართეს წერილით, რომელშიც მიესალმებიან მინისტრების შეხვედრას ბერლინში. დასავლეთ გერმანიის საზოგადო მოღვაწეები სთხოვენ მათ, რომ საგარეო საქმეთა ოთხი მინისტრის თათბირმა ურჩიოს გერმანიის ორივე მთავრობას ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელი გახადონ გერმანიის უმაღლესი სკოლების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და აკადემიების დაუბრკოლებელი თანამშრომლობა, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის თავისუფალი გავრცელება, კინოფილმების გაცვლა და სხვ.

ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ თათბირი დასაბამს მისცემს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მიიღებს დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას.

წერილს ხელს აწერენ კერძოდ, ლუდვიგსბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი აკერკნეხტი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ალტჰაუზერი, პასტორი მოხალსკი და სხვ.

ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ერთთვიური

შანხაი, 18 იანვარი. (საკდესი). დღეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც გაგრძელდება 18 თებერვლამდე.

ერთთვიური ეწყობა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებათა ინიციატივით. მისი მიზანია ვიეტნამელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხთა რესპუბლიკის ხალხთა შორის სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება.

ცენტრალურმა საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც ერთთვიურის მოწყობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა, გამოსცა სპეციალური ბროშურები საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ.

ერთთვიურის დროს მოეწყობა მშრომელთა საზეიმო კრებები, გამოფენები, ნაჩვენები იქნება საუკეთესო საბჭოთა და ჩინური ფილმები და სხვ. რესპუბლიკის სკოლებში წაიკითხავენ ლექციებს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა რესპუბლიკის ისტორიაზე, ვიეტნამელი ხალხისა და ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობაზე. მუშებში ერთთვიურის დროს კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება შრომითი შეჯიბრება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოანგ მინ ზიამმა თავის გამოსვლაში ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ერთთვიური ვიეტნამელ ხალხს დაეხმარება კიდევ მეტი რამ გაიგოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ, კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს მათი გამოცდილება.

საბჭოთა დაწესებულებების დახმარება ავსტრიაში ზავების შედეგებთან ბრძოლაში

ვენა, 18 იანვარი. (საკდესი). ავსტრიის მთიან რაიონებში ზავების შედეგებთან ბრძოლაში დახმარების გასაწევად საბჭოთა ნავთობის სამმართველომ ავსტრიაში გაგზავნა სპეციალური დამხმარე რაზმი, რომლის შემადგენლობაში არიან აგრეთვე ერთი ექიმი და სანიტრები.

შვედი ხელოვნებათმცოდნე საგჭოთა თეატრის შესახებ

სტოკჰოლმი, 19 იანვარი. (საკდესი). გამოჩენილი შვედი ხელოვნებათმცოდნე და ჟურნალისტი ერიან შილდტი, რომელმაც ამას წინათ საბჭოთა კავშირი ინახულა, რადიოთი გამოვიდა და ილაპარაკა სსრ კავშირში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ იგი იცნობს საბჭოთა თეატრს, შილდტმა განაცხადა: უნებლიეთ გაკვირვებს ის ენთუზიაზმი და ცოცხალი ინტერესი, რასაც იჩენენ რუსეთში თეატრისადმი. უწინარეს ყოვლისა ბალეტი ნამდვილი ხალხური ხელოვნებაა. ის, ვისაც უნახავს უბრალო რუსი ქალაშვილები, რომლებიც ცეკვავენ „შჩელკუნჩიკის“ ვარიაციებს, ან უნახავს წარმოდგენა ჩეხოვისა თუ გორკის დრამატურგიიდან მხატვრული თეატრის სცენაზე..., იგი ამოდ შეეცდება მოძებნოს სიტყვები იმისათვის, რომ გამოხატოს თავისი აღტაცება.

არჩევნები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 18 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგანგებო იუწყება, რომ დამთავრდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ქალაქ სიანში. ქალაქის თორმეტივე რაიონში გაიმართა ახლად არჩეულ სახალხო წარმომადგენელთა კრებების სესიები.

სიანში არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტი. მუშები არჩეულ დეპუტატების საერთო რიცხვის 20 პროცენტს შეადგენენ. ყოველი მეხუთე დეპუტატი ქალია.

სახალხო წარმომადგენელთა კრებების სესიები მოეწყო აგრეთვე სიანის მიდამოების ყველა სიანში (ადმინისტრაციული ერთეული. **რედ.**). ამ სესიებზე აირჩიეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე განიხილეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის მოღვაწეობა

მონტევიდეო, 18 იანვარი. (საკდესი). ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტი აფართოებს თავის მოღვაწეობას. ურუგვაის მთელ რიგ ქალაქებში ურუგვაის კულტურის იმ მოღვაწეთა დელეგაციის წევრებმა, რომლებმაც 1953 წელს საბჭოთა კავშირი ინახულეს, წაიკითხეს ლექციები და მოხსენებანი საბჭოთა კულტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შესახებ.

იგაღიის საზოგადოებრიობა პაგვისა სცემს გმირ პარტიზანთა ხსოვნას

რომი, 18 იანვარი. (საკდესი). რომში გაიმართა კრება კომპარტიის წევრების — 7 ძმა ჩერვის დაღუპვის მე-10 წლისთავის გამო. ეს გმირი პარტიზანები 1943 წელს ფაშისტებმა დახვრიტეს. კრება მოაწყო სპეციალურად შექმნილმა ეროვნულმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა წინააღმდეგობის მოძრაობის ბევრი მონაწილე და კულტურის მოღვაწე.

კრებას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ამბ. კოსტილიოვი.

უნივერსიტეტის პროფესორმა პიერო კალამანდრეიმ თავის გამოსვლაში გაიხსენა 7 ძმა ჩერვის გმირული საქმენი. 1943 წლის 8 სექტემბრის შემდეგ, როცა ხელი მოაწერეს დროებითს ზავს მოკავშირეთა ჯარებთან, ჩერვების ოჯახმა მაშინვე აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანელ ოკუპანტთა და იტალიელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩერვების სახლში თავშესაფარს პოულობდა 88 საბჭოთა, ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი სამხედრო ტყვე და ანტიჰიტლერელი, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაიქცნენ. ჩერვები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიზანულ მოძრაობაში, მოსპეს მრავალი ფაშისტი და გაანადგურეს მათი დასაყრდენი პუნქტები. 7 ძმა ჩერვი ფაშისტებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

კრებაზე ჩერვების მამას გადაეცა სამახსოვრო ოქროს მედალი.

ამერიკის კარნახით

ფილიპინების მთავრობა ცდილობს შეაკოწიწოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამხედრო დაჯგუფება

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგანგებოს მანილელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ფილიპინების მთავრობა ცდილობს შექმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების კავშირი ფილიპინების, ტაილანდის, მალაიის, ინდოჩინეთის, ინდონეზიისა და ბირმის შემადგენლობით. ამ კავშირში მისი ინიციატორების განზრახვით უნდა შევიდეს აგრეთვე ტაივანზე მყოფი გომინდანელთა ხროვა. აღნიშნავენ, რომ ამ კავშირის შექმნის გეგმა ფილიპინების ვიცე-პრეზიდენტმა კარლოს გარსიამ განიხილა თბილისზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დიპლომატებთან. გაზეთი „მანილა ტაიმსი“ წერს, რომ ამ წინადადებას მხარს უჭერენ შეერთებული შტატები.

რკინიგზელთა გაფიცვა პერუში

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგანგებოს ცნობით, პერუში დაიწყო ინგლისის კომპანია „სენტრალ პერუ რეილუეის“ 3.000 რკინიგზელის გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გაფიცვის შედეგად შეწყვეტილია მიმოსვლა პერუს დედაქალაქ ლიმასა და ნავსადგურ კალაოს სერო დე პასკოსა და პერუს სამთამადნო მრეწველობის ცენტრს — ოროიას შორის.

ინდოეთში ჩავიდა საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა დელეგაცია

დელი, 18 იანვარი. (საკდესი). 17 იანვარს ინდოეთის მთავრობის მიწვევით ბომბეიში ჩავიდა საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა დელეგაცია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის ნ. ნ. ბესპალოვის მეთაურობით.

ინდოეთის პრესა და საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას აქცევს ინდოეთში საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა ჩასვლას. ბომბეის გაზეთი „ფრი პრეს ჯორნელი“ წერს: „მივესალმებით საბჭოთა კულტურის დელეგაციას“. გაზეთი ათავსებს სპეციალურ სტატიებს სათაურებით: „კულტურისა და კეთილ ნების წარმოგზავნილნი“, „რუსული პროგრესი ხელოვნებაში“, „რუსეთში ხელოვნება და ცხოვრება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული“.

ინდოეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური ბიულეტენი, რომლითაც აცნობებს ბომბეიში, დელში, კალკუტაში, მადრასსა და ბანგალორში საბჭოთა მსახიობების გამოსვლების პროგრამას. ბიულეტენში მოყვანილია დელეგაციის წევრთა ბიოგრაფიები.

საბჭოთა მსახიობების გამოსვლებით მიღებული შემოსავალი შედის ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს დახმარების ეროვნულ ფონდში (წყალდიდობით დაზარალებული ინდოეთის მოსახლეობის დამხმარე ეროვნული ფონდი).

სახლი, რომელშიც ცხოვრობდა და მუშაობდა მარკ ტვენი, ანგრევენ

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). პრესის ცნობით, სახლს მე-5 ავენიუზე ნიუ-იორკში, სადაც 1904-დან 1908 წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა მარკ ტვენი, მალე დაანგრევენ. მის ადგილზე განზრახული აქვთ აიგონ შემოსავლიანი შენობა.

სახლი, რომელშიც ცხოვრობდა და მუშაობდა მარკ ტვენი, ნიუ-იორკის არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. იგი 1840 წელს აიგო ცნობილმა არქიტექტორმა რენვიკმა. ამ ბოლო დროს სახლი სრულიად მოუვლელი იყო. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ის ბრინჯაოს დაფაც კი მოგლეჯეს, რომელზეც აღნიშნული იყო, რომ აქ ცხოვრობდა მარკ ტვენი.

სახლის დანგრევის განზრახვის წინააღმდეგ იბრძვის მცირე ჯგუფი, რომელიც შექმნა გრინვიჩ-ვილეჯის კვარტალის სავაჭრო პალატამ. იგი ცდილობს შეაგროვოს 70.000 დოლარი, რაც საჭიროა შენობის სხვა ადგილას გადასატანად და იმისათვის, რომ იგი მუზეუმად გადააქციონ. გაზეთის სიტყვით, ამ ჯგუფმა კიდევაც რომ შეძლოს ფულის შეგროვება, ჯერ კიდევ არავინ იცის დართავენ თუ არა ნიუ-იორკის მუნიციპალური ხელისუფალნი ნებას, რომ სახლი ახალ ადგილზე გადაიტანონ.

იტალიის ახალი მთავრობა

რომი, 18 იანვარი. (საკდესი). როგორც ანსას საგანგებო იუწყება, დღეს ჩამოყალიბდა იტალიის ახალი მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

პრემიერ-მინისტრი — ფანფანი; საგარეო საქმეთა მინისტრი — პიჩონი; შინაგან საქმეთა მინისტრი — ანდრეოტი; თავდაცვის მინისტრი — ტავიანი და სხვ.

სპორტის ამბები

მსოფლიო პირველობის გათამაშება ციგურებით ჩქარაოსნულ რბენაში, რომელიც საბოროში (იაპონია) მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა ხპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით. **სურათებზე:** პირველ სამ ადგილზე გამოსული საბჭოთა მოციგურავეები. ზევით — **1954** წლის მსოფლიო ახსოლუტური ჩემპიონი ბ. შილკოვი. ქვევით — ო. გონჩარენკო (მეორე ადგილი) და ე. ბრიშინი (მესამე ადგილი).

შვეიცარიის გაზეთები საბჭოთა მოციგურავეთა გამარჯვების შესახებ

სტოკჰოლმი, 18 იანვარი. (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთი დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა მოციგურავეთა გამარჯვებას საბოროში. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მოციგურავეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. გაზეთი „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი“ აცხადებს, რომ 1954 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშება ციგურაობაში „რუსების ტრიუმფი გახდა“. ყველა გაზეთი ათავსებს მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონის ბორის შილკოვის ფოტოსურათს. ახასიათებს რა საბჭოთა მოციგურავის სტილს, გაზეთი „მორგონტიდნინგენი“ წერს, რომ შილკოვს აქვს მოკლე, მაგრამ მწყობრი ნაბიჯი, ყინულზე მოძრაობს მსუბუქად და განსაკუთრებით ლამაზად.

ეროვნული ეროვნულებისაგან

საბჭოთა მოჭადრაკეები ლონდონიდან დაბრუნდნენ

ლონდონი, 18 იანვარი. (საკდესი). დღეს ლონდონიდან სამშობლოში გაფრინდა საბჭოთა მოჭადრაკეების ჯგუფი გროსმაისტერების ბრონშტეინისა და ტოლუშის და საერთაშორისო ოსტატის ალატორცევის შემადგენლობით.

ინგლისში სამი კვირის ყოფნის დროს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის გარდა, ერთდროული თამაშის რამდენიმე სეანსი მოაწყეს ლონდონში; გარდა ამისა, გროსმაისტერი ბრონშტეინი შეხვდა კემბრიჯის უნივერსიტეტის მოჭადრაკეებს, ხოლო გროსმაისტერმა ტოლუშმა სეანსი გამართა ედინბურგსა და გლაზგოში.

ინგლისში საბჭოთა მოჭადრაკეების ყოფნამ ინგლისის საზოგადოებრიობისა და პრესის ფართო ყურადღება მიიპყრო. ინგლისის ტელევიზიის რედაქციის თხოვნით, გროსმაისტერი ბრონშტეინი საუბრით გამოვიდა ტელევიზიის პროგრამაში.

სსრ კავშირის XXI საჭიდაკეო ჩემპიონები

ძიევი, 18 იანვარი. (საკდესი). გუშინ ეთამაშთა მეშვიდე ტური. გროსმაისტერი გეგლერი დამარცხდა ავერბახთან. ლილიენტალ-ნეიმეტდინოვის პარტია ნეიმეტდინოვის გამარჯვებით დამთავრდა. ბივშევმა მოუგო ლისიცინს. ფურმან-კორჩნოის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა ავერეთვე სუეტინ-რაგოზინის და ლევშინ-ილიევიცის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეშვიდე ტურის შემდეგ წინ არიან ლენინგრადელი ოსტატები ფურმანი — 5 ქულა და კორჩნოი — 4,5 ქულა.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ბორის თევდორეს-ძე პოდცერობი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თურქეთში.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ანდრიას-ძე ლავრეშჩევი გაათავისუფლა თურქეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს ქ. ჯ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

20 იანვარს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება სემინარი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „განვითარება როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა“. სემინარის ხელმძღვანელია დოცენტი ვ. სიგუა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

რსფსრ სახალხო არტისტის

ვლადიმერ დუროვის

გამოსათხოვარი გასტროლები

დუროვის რკინიგზა და დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 24 იანვარს.

დღის 2 საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახეცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97. ჩელუსკინელების ქ. № 31. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

სალაროები ღიაა დღის 12 საათიდან, ხოლო კვირაობით დილის 10 საათიდან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

20 იანვარს	შ. გუნო — **ფაუსტი** და **ვალპურგის ღამე**
22 იანვარს	ე. ნაპრავნიკი — **დუბროვსკი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

არტელ „25 თებერვლის“ გამგეობა აწარმოებს დანების და სხვა იარაღ-ინსტრუმენტების ლესვის გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდ ანგარიშზე დამტკიცებული სპრეისკურანტო ფასებით.

ხელშეკრულებისათვის მიმართეთ გამგეობას: მოლოტოვის რაიონი, დიდხევის დადმართი № 2, ტოლსტოის ქუჩის კუთხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

**